ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6674730

ნომერი: AR1990914

თარიღი : 20.09.2023

გაცემის თარიღი : 21.09.2023

გაცნობის თარიღი : 21.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშვილი , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ოსეფაიშვილი პ/ნ 01013020701
- ქ. თბილისი, მ.ბროსეს ქ. N2 ოფისი N20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივლისის №6572182 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 20 სექტემბერს №AR1990914 განცხადებით მომართა გიორგი ოსეფაიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის

20 ივლისის №6572182 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 ივლისის №6572182 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.19.004.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (შენობა №5) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 20 ივლისიდან 2025 წლის 30 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 20 ივლისის №6572182 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ველში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, შენობა №5-ის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი 11363.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 10915.1 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის (მათ შორის, ვექტორული ფაილის) გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი შეადგენს 10915.1 კვ.მ-ს. შესაბამისად, მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივლისის №6572182 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ველში ჩანაწერის: „კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : (შენობა №5 - 11363.8 კვ.მ კ2=0.4) (შენობა №6 - 10273.5 კვ.მ კ2=0.3) ჯამი 21637.3 კ2=0.7“-ის ნაცვლად დაფიქსირდეს: „კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : (შენობა №5 - 10915.1 კვ.მ კ2=0.3) (შენობა №6 - 10273.5 კვ.მ კ2=0.3) ჯამი 21188.6 კ2=0.7.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივლისის №6572182 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივლისის №6572182 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.